



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #026/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ადვოკატს ბრალდებულის ინტერესები უნდა დაეცვა წინასწარი გამოძიების ეტაპსა და სასამართლოში. ადვოკატმა მომსახურების საფასურად კლიენტისგან ჰონორარის სახით მიიღო 2000 (ორი ათასი) ლარი, რის შემდეგაც ადვოკატმა დაიწყო კლიენტის სასარგებლოდ მოქმედება. რამდენიმე თვის შემდგომ ადვოკატმა მოითხოვა სასამართლო სხდომის გადადება მიზეზის დაუსახელებლად და დატოვა საქართველოს ტერიტორია. გამგზავრებიდან კი ერთ წელიწადში დაბრუნდა საქართველოში, ადვოკატის დაბრუნების მომენტისთვის კი სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი იყო უკვე განაჩენი. ადვოკატს კლიენტისთვის გამოუმუშევებელი ჰონორარი არ დაუბრუნებია.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით დევნა დაიწყო კლიენტის ინტერესების უპირატესი პრინციპის დარღვევის საფუძველით.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატი ვალდებულია კეთლსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები. ადვოკატმა სათანადო გულმოდგინეობითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ხანგრძლივი ვადით საზღვარგარეთ გამგზავრებით ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზემადლა პირადი ინტერესები დააყენა ისე, რომ კლიენტი არ ყოფილა ინფორმირებული.

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ადვოკატს უფლება აქვს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის

¹<https://gba.ge/pdf/5c626c8678a96.pdf/026-17%2022.05.18%20gaftrtileba.pdf>

წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან უნდა გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები. მიუხედავად ადვოკატის უფლებისა, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კლიენტთან წარმომადგენლობა, სამართლებრივი მომსახურების შეწყვეტა ადვოკატის ინიციატივით არ უნდა განხორციელდეს ისეთ ვითარებაში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება ისარგებლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით, რის გამოც არსებობს საფრთხე იმისა, რომ კლიენტს შეეზღუდოს დაცვის უფლებით სარგებლობა. სამ დღიანი ვადა არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის ინიციატივით სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის დადგენილ გონივრულ ვადად.

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმებ აითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საზღაური არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, რადგან ადვოკატმა არ განახორციელა მომსახურება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც საჩივრის ავტორთან შეთანხმება ითვალისწინებდა.

დასკვნა:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი, პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, მე-7 და მე-15 ნაწილების თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.